სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ზუგდიდი

1992
შაბათი
18
იანვარი
№ 4 (10535)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

დასავლეთ საქართველოს სამხედრო საკოორდინაციო შტაბი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

13 იანვარი, 1992 წ. ქ. ზუგდიდი

საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების შექმნის და კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების გამო. რაც გამოიწვია ბანდიტური ხუნტის მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ.

ვბრძანებ:

1). დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შემოღებული იქნეს საგანგებო მდგომარეობა.

2). ყველა ქალაქებში და რაიონებში დაინიშნოს სამხედრო კომენდატები და შემოღებული იქნეს კომენდატის საათები.

3). კომენდატურების საერთო ხელმძღვანელად დაინიშნოს ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სამხედრო კომენდატი გვარდიის მაიორი კანდიკო შალვას ძე ფარცვანია, რომელიც უშუალოდ ემორჩილება დასავლეთ საქართველოს საგანგებო სამხედრო შტაბს.

4). სამხედრო კომენდატების ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანიზაციების და დაწესებულებებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის.

5). დასავლეთ საქართველოს სამხედრო საკოორდინაციო შტაბის უფროსს, ყოველდღიურად დღის 12 საათისათვის შტაბის და ქვემდებარეებაში შემავალი ქალაქების და რაიონების საკომენდატო სამსახურის უფროსებმა წარუდგინონ ანგარიში მიმდინარე ვითარების და ჩატარებული მუშაობის შესახებ, მათვე დაევალოთ გამოყონ თითო რწმუნებული სამხედრო საკოორდინაციო შტაბის წევრად და მოავლინონ ქ. ზუგდიდში.

6). ადმინისტრაციული და სამართალდამცავი, ეროვნული სახელმწიფო უშიშროების, ჯანდაცვის, ეროვნული გვარდიის, სახალხო რაზმელების ხელმძღვანელები ვალდებული არიან დასავლეთ საქართველოს სამხედრო საკოორდინაციო შტაბს, ყოველდღე დღის 12 საათისათვის წერილობითი ფორმით წარუდგინონ ანგარიში მიმდინარე ვითარების და ჩატარებული მუშაობის შესახებ.

შტაბის უფროსი: ჯ. ქობალია

დასავლეთ საქართველოს სამხედრო საკოორდინაციო შტაბი

სამხედრო კომენდატურა

14 იანვარი, 1992 წ. ქ. ზუგდიდი

რეგიონში შემავალ ქალაქებში, რაიონებში და დაბებში ფუნქციონირებს მხოლოდ ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტს დაქვემდებარებული თითო შტაბი. აღნიშნულიდან გამომდინარე სხვა მსგავსი შტაბების შექმნა და ფუნქციონირება ჩაითვლება უკანონოდ, ხუნტის ხელშეწყობად და ლიკვიდირებული იქნება.

შტაბის უფროსი ჯ. ქობალია

დასავლეთ საქართველოს სამხედრო საკოორდინაციო შტაბის უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

13 იანვარი, 1992 წ. ქ. ზუგდიდი.

დაინიშნოს თენგიზ სარდიონის ძე ვეკუა დასავლეთ საქართველოს სამხედრო საკოორდინაციო შტაბის კომენდატის პირველ მოადგილედ.

შტაბის უფროსი: ჯ. ქობალია

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

13 იანვარი, 1992 წ. ქ. ზუგდიდი.

საქართველოში, მათ შორის ქ. ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების შექმნის და კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების გამო, რაც გამოიწვია ბანდიტური ხუნტის მიერ ძალაუფლების დროებით ხელში აღებამ ქ. ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში სამხედრო საგანგებო მდგომარეობის შემოღებასთან დაკავშირებით.

ვბრძანებ:

1) ყოველი სახის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც მიმართული იქნება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ასევე სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების ხელყოფა, ჩაითვალოს ერის ღალატის ტოლფასად და დამნაშავენი დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით, სამხედრო საგანგებო წესების შესაბამისად.

2). დაევალოს შს განყოფილების უფროსს, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყოლიოს პირადი შემადგენლობა, გადავიდეს იგი კაზარმულ მდგომარეობაში, ხოლო იმ თანამშრომლებს, რომლებიც არასაპატიო მიზეზით თავს არიდებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და საგანგებო ვითარების შემთხვევაში ჩაიდენენ სხვა ადმინისტრაციულ გადაცდომას, ჩამოერთვათ საბრძოლო აღჭურვილობა და დაწესებული ფორმა.

3.) აეკრძალოს ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ყოველგვარი გადაადგილება საღამოს 22 საათიდან დილის 6 საათამდე სათანადო საშვის გარეშე.

4). წარმოება - დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ქ. ზუგდიდში უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებში სადღეღამისო ოპერატიული მორიგეობის შემოღება. ამ მიზნით შექმნან რაზმები წესრიგის დასაცავად, ასევე სოფლებში საკრებულოების გამგებლებმა რაზმეულების შექმნით და მათი მეშვეობით უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

5). შს ორგანოებმა, ეროვნული გვარდიის პირად შემადგენლობასთან და რაზმელებთან ურთიერთშეთანხმებით, ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე მოაწყონ სისტემატური შემოვლები.

6). მიეცეს ნებართვა სამართალდამცავ ორგანოებს, ეროვნული გვარდიის გვარდიელებს და შეიარაღებული რაზმელებს, მართლწესრიგის დამრღვევთა მხრიდან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი.

7). დაევალოს შესაბამის ორგანოებს უზრუნველყონ სამგზავრო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ელსამსახურის ადგილობრივი ტელეარხის და საწყვების ობიექტების სრული რიტმული მუშაობა.

8). აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე ახალი განკარგულების მიღებამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეწყდეს სწავლა და მუშაობა.

9). ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის შენობაში სასტიკად აიკრძალოს მოქალაქეთა და შეიარაღებულ პირთა შესვლა ერთჯერადი საშვის გარეშე, აღნიშნული ღონისძიების შესრულებაზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი.

10). აკრძალული იქნეს ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა, არაფხიზელ მდგომარეობაში შენიშნული მოქალაქეები მკაცრად დაისჯებიან თვით თავისუფლების აღკვეთამდე.

11). ბრძანების ასლები გადაეგზავნოს ქალაქის წარმოება დაწესებულებების ხელმძღვანელებს და სოფლების საკრებულოებს, ასევე ქალაქში და სოფლებში გამოეკრას თვალსაჩინო ადგილებზე, გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიით.

სამხედრო კომენდატი:
ჯ. ფარცვანია.

დასავლეთ საქართველოს სამხედრო საკოორდინაციო შტაბი

სამხედრო კომენდატურა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

14 იანვარი, 1992 წ. ქ. ზუგდიდი

დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღებასთან და სამხედრო კომენდატის საათის გამოცხადებასთან დაკავშირებით:

ვბრძანებ:

1. კატეგორიულად აიკრძალოს დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო სანომრე ნიშნების გარეშე ტარება.

2. აღნიშნული ბრძანების დამრღვევი პირები დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით: კერძოდ

ა. ჩამოერთმევათ ავტომანქანის მართვის მოწმობები და მიეცემათ დისკვალიფიკაცია.

ბ. ავტომანქანებს გაუკეთდება კონფისკაცია და კანონის თანახმად გაიყიდება საერთო წესით.

სამხედრო კომენდატი:
ჯ. ფარცვანია.

ბორბალი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა

რა ზუსტად იწინასწარმეტყველა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ: ეს ადამიანები, თუ დროზე არ აღკვეთეთ, უბედურებას დაატეხენ თავს საქართველოსო. და დაატრიალეს კიდეც ჯოჯოხეთის ცეცხლი. რამდენად თავხედი და სინდისგარეცხილი უნდა იყო, რომ დედათბილისი ქვემეხებითა და ტანკებით დაანგრიო, გადაწვა და მერე შენსავე ხალხს დაუწყო მტკიცება: ჩვენ კეთილი ნებით მოვედით და დიქტატურის მიერ შევიწროებულ საქართველოში დემოკრატიის აღდგენა გვწადიაო. ვის ატყუებენ ეს ნაძირალები. ნუთუ ქართველი ხალხი და მოწინავე კაცობრიობა იმდენად გულუბრყვილონი გონიათ, რომ ასე იოლად შეიყვანონ შეცდომაში. ხალხმა კარგად გაიგო ავკაცთა განზრახვა. მათ სურთ საქართველო ისევ ახლად შეკოწიწებულ თანამეგობრობაში შეიყვანონ და ამით დიდი დროით დაასამარონ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, ის წმიდათაწმიდა მიზანი, რომლისთვისაც დამუხტა და აღანთო ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ქართველი ხალხი,

ეგრეთწოდებულმა ოპოზიციამ საკუთარი სახე ბოლომდე ამხილა. ესენი არიან ყოფილი პარტიული ფუნქციონერები, ხელმოცარული ინტელიგენტები, რუსული ცნობიერებით სულ დამახინჯებული ხელოვანნი, პირწავარდნილი. კარიერისტები და ყაჩაღები, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობისთვის და თვითგანდიდებისათვის იბრძვიან. სწორედ თავიანთი ავი, ქვენა გრძნობების, ავად მყოფური ამბიციების დასაკმაყოფილებლად ატეხეს ეს საშინელება.

არსებობს ცნება, „ამსურდის ადამიანი". იგი ამბოხის, შანტაჟის გზით იმკვიდრებს ადგილს ცხოვრებაში. მისთვის ყველაფერი ნებადართულია. ეს არის ანტიქრისტეს მორალიდან წამოსული მატერიალისტური იდეა. სწორედ ამ იდეით არიან შეპყრობილნი საქართველოს ეს ორგული შვილები. მათი არსებობა ხანმოკლეა. აზვირთებულ ხალხს ისინი ვერაფერს დაუპირისპირებენ, იარაღით ვერ დააჩოქებენ. სულ მალე იზეიმებს სიმართლე და კანონიერება, პრეზიდენტი გამსახურდია ისევ დაუბრუნდება თავისი მოვალეობის შესრულებას და წარუძღვება ერს ნანატრი თავისუფლებისაკენ.

გაუმარჯოს საქართველოს, მის ძლევამოსილ სვლას თავისუფლებისაკენ.

ა. ალანია,

ბოროტება განწირულია

ის საშინელება, რაც დაატრიალეს საქართველოს მტრებმა, დიდად სპარბობს წინა საუკუნეებში ათასი ჯურის მოსახლეთა მიერ ჩადენილ დანაშაულობას. საქმე იმაშია, რომ გარეშე მტერი გამოაშკარავებული მოძალადე იყო და ქართველი კაცი სამკვდროსახიცოცხლოდ უმირისპირდებოდა მას. ბაგრამ ახლა რაც მოხდა, შესაძრწუნებელია თავისი ველაგობითა და მასშტაბებით. მესამე ძალამ ქართველის სისხლი დადვარა ქართველის ხელით. შეიარაღებულმა ბანდებმა, რომლებიც ეთიოპიდან პოლიტიკოსობა და დემოკრატობა დიბრალეს, იარაღის გამოყენებით ხელში ჩაიგდეს ფუნაბეში სახელის შენობა, სადაც ხალხის მიერ არჩეული კანონიერი მთავრობა და ერის ფლაგარეული ლიდერი ბატონი ზვიად გამსახურდია აიძულეს გამოცხადდა თავისი ადგილსამყოფელი.

ქართველი ხალხი ეროვნულად იგლოვდა წინ ამ უკანონობას და ბოროტმოქმედებას. საკითხი ეხება არამარტო ისტორიული ნაგებობების გაანადგურებას, არამედ ქართველობის სულიერად გატეხვას. ბოროტმა ძალებმა, რომელნიც მაქმანებდნენ მოსკოვის წაქეზებით, დაუშვეს საშინელი პრეცედენტი, სურთ მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები დაარწმუნონ, რომ ეს არის სახალხო აჯანყება, დემოკრატიის დრომით განხორციელებული გადატრიალება, რომელსაც უკეთესი მომავალი მოაქვს საქართველოსათვის. არა ბატონებო! თქვენს მიერ ჩადენილ ანტიხალხურ ბოროტმოქმედებას, ნამდვილ ვანდალიზმს კარგად ხედავს მსოფლიო, მთელი საქართველოს მასშტაბით აბობოქრებულ საპროტესტო გამოსვლებს ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს. ხალხი თავისი კანონიერი პრეზიდენტის გვერდითაა, მის დაბრუნებას ითხოვს.

ხიამაყით მევსება გული, როცა ვხედავ მშობლიური ზუგდიდის აბობოქრებას. იგი იქცა საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის ეპიცენტრად. ყოველდღე იმართება მრავალათასიანი მიტინგები. ხალხმა ხაბოლოოდ გამოიღვიძა. ყველანი მიხვდნენ, თურა სურთ ეგრეთწოდებულ დემოკრატებს საქართველოსათვის. ისინი მზად არიან ისევ მონობა განუმზადონ საკუთარ ხალხს, ოღონდ თვითონ თბილი სავარძლები მოიპოვონ. მაგრამ არ ეღირსებათ. ბოროტ საქმეს არასოდეს გაუმარჯვნია და ვერც ახლა გაიმარჯვებს.

დ. სალია.

„არა კაც ჰკლა“

ვუძღვნი ირაკლი ჟვანიას ხსოვნას

ცხრამეტი საუკუნის წინ, ბეთლემში დაიბადა ყრმა. სიყვარულმა შვა სიკეთე და ამობრწყინდა თავისუფლების მზე. განათდა დედამიწა. ადამიანმა იგრძნო ნეტარება და ცოცხლად აენთო. ვიღაც ატირდა. ისევ მოისმა წყნარი ხმა. ეს არის ძე ჩემი დაბადებული ადამიანად, ღმერთი ჭეშმარიტი და იტვირთებს ის ადამიანთა ცოდვებს. გაპყიდიან მას 30 ვერცხლად და გაცვლიან ავაზაკზე. ცაში ავარდება ალი. გაიზრდება ყრმა და ეტყვის ის ადამიანს: „არა კაც ჰკლა“.

სიყვარული მოეძალება გრძნობებს, სიკეთე აღაგზნებს ცოცხალს და იტყვის ადამიანი: „მე მიყვარს სიცოცხლე, მზე. და არ არსებობს უფრო დიდი ჭეშმარიტება, გიყვარდეს ადამიანი შექმნილი ღვთისაგან.

გავა დრო. ცხრამეტი ცრემლი და ცხრამეტი სიხარული, გლოვა თუ სინანული შეენაცვლება ერთმანეთს. ბოროტება დაამარცხებს სიკეთეს. სისხლი მოაწვება გრძნობებს და სიკვდილი დაფერფლავს სილამაზეს. ძმა მახვილს აღმართავს ძმაზე და...

„და ეტყვის უფალი კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? მიუგებს: არ ვიცი. უთხრა ღმერთმა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს და დაწყევლილი ხარ ამიერიდან მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. დევნილი და მიუსაფარი შეიქმნები ამ ქვეყანაზე. და უთხრა კაენმა: მძიმე ასატანია ჩემი სასჯელი, რადგან დევნილი და მიუსაფარი ვიქნები ამიერითგან და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა. და უთხრა უფალმა: ამიტომაც შვიდწილად მიეზღვება კაენის მკვლელს“.

ბეთლემში დაბადებული ყრმა კი იტყვის: „გიყვარდეს მოყვასი შენი და მტერი შენი და დაიმკვიდრებ სასუფეველსა ცასა“. მაშინ იტყვის ადამიანი: რა არის სიყვარული? ზეცას აწვდება ბავშვის კვინილი და შავი ფერფლი დაფარავს დედამიწას.

ჯაჭვს აიწყვეტს შავი ულაყი და გამოაქროლებს მხედარი მას. მიწიდან ამოდის ალი. ცხრამეტი საუკუნის წინ ბეთლემში დაიბადა ყრმა, სიყვარულმა შვა სიკეთე და ამობრწყინდა თავისუფლების მზე. გაიზარდა ყრმა და უთხრა მან ადამიანს: „არა კაც ჰკლა“. ეს მოხდა ცხრამეტი საუკუნის წინ.

დღეს კი...

თეა ჯანაშია,

ცაიშის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

ბაზალეთი — ქართველი ერი უახლოვდებოდა სანუკვარ მიზანს — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებას, რომ საქართველოს კვლავ თავს დაატყდა ახალი უბედურება. იმპერიის ფონობაში ქართველთა, სამწუხაროდ, საკმაო ნაწილს გაუჩარა ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა, და ამ ისტორიული გარღვევის ეკმს ძმამ ძმაზე ხელი აღმართა. ფიოდორა სისხლი, კოლაბალური ბატონობა ზარალ ყოველივე ამის შედეგად კი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ნაცვლად, ძალაუფლება ხელში ეიღო ოპოზიციურმა ძალამ. ხელში ეიღო ინიციატივა, ყოველგვარი ხაძაგელი ეზეხთ, ამბეგრის ხელნარით, ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ნების საპირისპიროდ.

ამ მეტად ძნელ ჟამს გვმართებს ძალთა მაქსიმალური მობილიზება, რათა ალმა აზრმა გაიმარჯვოს, და კვლავ არ აღმოვჩნდეთ მესამე ძალის ტყვეობაში. ამისათვის ადგილებზე გვმართებს კიდევ უფრო მონდომებით შრომა. გაპარტახებული ეკონომიკისათვის ზრუნვა. აბასთუმნის მშრომელები მზად არიან მხარი დაუჭირონ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს. სოლიდარობის ნიშნად მონაწილეობენ ზუგდიდში გამართულ მრავალათასიან მიტინგებში.

იბრძვიან სამართლიანობის აღსადგენად

ეს ოყო ქართველი ერი უახლოვდებოდა სანუკვარ მიზანს — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებას, რომ საქართველოს კვლავ თავს დაატყდა ახალი უბედურება. იმპერიის ფონობაში ქართველთა, სამწუხაროდ, საკმაო ნაწილს გაუჩარა ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა, და ამ ისტორიული გარღვევის ეკმს ძმამ ძმაზე ხელი აღმართა. ფიოდორა სისხლი, კოლაბალური ბატონობა ზარალ ყოველივე ამის შედეგად კი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ნაცვლად, ძალაუფლება ხელში ეიღო ოპოზიციურმა ძალამ. ხელში ეიღო ინიციატივა, ყოველგვარი ხაძაგელი ეზეხთ, ამბეგრის ხელნარით, იზეება, რათა ალმა აზრმა გაიმარჯვოს, და კვლავ არ აღმოვჩნდეთ მესამე ძალის ტყვეობაში. ამისათვის ადგილებზე გვმართებს კიდევ უფრო მონდომებით შრომა. გაპარტახებული ეკონომიკისათვის ზრუნვა. აბასთუმნის მშრომელები მზად არიან მხარი დაუჭირონ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს. სოლიდარობის ნიშნად მონაწილეობენ ზუგდიდში გამართულ მრავალათასიან მიტინგებში.

გაიმარჯვა კი დემოკრატიამ?!

ასეთი იშვნეული კითხვა დასვა დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნების პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამ, როცა ცნობილი გახდა, რომ საქართველოში შეიარაღებული აჯანყების შედეგად გაიმარჯვეს ეგრეთწოდებულმა დემოკრატიულმა ძალებმა. მართლაც, საკითხავია: გაიმარჯვა კი საქართველოში დემოკრატიამ?! აკი, ხელისუფლების სათავეში მოსული სამხედრო საბჭოს „მეფობის“ პირველი დღეებიდანვე ირღვევა ადამიანის უფლებები. პირველსავე მშვიდობიან მიტინგსაც ესროლეს „დემოკრატებმა“. ისევ დაიღვარა სისხლი. ისევ არ დაინდო ძმამ ძმა! თბილისის კომენდანტმა ლანჩავამ მომხდარს, ერთერთ სატელევიზიო ინტერვიუში, ბუნდოვანი, გაურკვეველი შეფასება მისცა. თუმცა უკვე არა აქვს მნიშვნელობა ცალკეული პიროვნებები როგორ შეაფასებენ ამა თუ იმ მოვლენას. ისტორია თავად გააანალიზებს ყველაფერს. ქართველი ერი კი, რომლის უმრავლესობა სწორად აფასებს რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციას, მზადაა სამართლიანი ბრძოლა გააგრძელოს იმ შეიარაღებული ბანდის წინააღმდეგ, რომელიც დემოკრატიის ნიღაბაფარებული მოვიდა ხელისუფლების სათავეში და ფეხქვეშ გათელა ქართველი ხალხის ნება.

ნ. მიქავა,

წიწამური — 91

ამ მესმის, რატომ იდარებს ზოგიერთი ბაზალეთის ბრძოლას ისეთ, რაც დღეს ხდება ჩვენს დედაქალაქში. ბაზალეთი, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ისტორიული ხარცხვილია, მაგრამ ძლიერ განსხვავებულია ამ დრამის როგორც ხასიათი და შინაარსი, ისე მოქმედი პირნი. ბაზალეთის სამოქალაქო ომში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საქართველოს ორი უბედური ჭირისუფალი და ძმიმე ჯვრის მტვირთველი: მეფე თეიმურაზი და დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. ორივენი ერთიანი და ძლიერი საქართველოს აღორძინებისათვის იბრძოდნენ. გზები და საშუალებები იყო სხვადასხვა და სწორედ ამან გამოიწვია ბაზალეთის ტრაგედია. არც ერთს არ უფიქრია რომელიმე უცხო ხალხმწიფოსთვის (ირანი, ოსმალეთი, რუსეთი) დაექვემდებარებინა, დაემონებინა თავისი სამშობლო.

დღეს კი სულ სხვა სურათის მოწმენი ვართ. რენეგატთა ერთი ჯგუფი, გატერორისტებულ ხმხედრო ფორმირებებზე დაყრდნობით, უპირისპირდება სრულიად საქართველოს, სიმწრით გამოღვიძებულ, გამთლიანებულ და თავისუფლების გზაზე დამდგარ ქვეყანას და ლამობს კვლავ მონობის (ოღონდ, უკვე სახეშეცვლილის) უღელი დაადგას კისრად. აკი ამის შესახებ დაუფარავადაც ლაპარაკობს ზოგი მათგანი, ამტკიცებს, რომ რუსეთს იქით „გზა არა აქვს“. სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართეს ხალხის მიერ არჩეულ, კანონიერ ხელისუფლებას. საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ყმაწვილკაცობიდან ჩვენი თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის თავდაუზოგავ მებრძოლს და ათასი ჭირის გადამტანს, ნანგრევებად აქციეს თბილისის დედა ქუჩა—რუსთაველის გამზირი სიამაყე და სიმბოლო ერთიანი საქართველოსი.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა არა „სხვა აზრის“ ქართველობა, არამედ საქართველოს მტრის მიერ დაქირავებული და მისგანვე მართული, ჩვენს ენაზე მოლაპარაკე მანქურთთა ლაშქარი. დიახ, ისინი ქართულად მეტყველებენ და გვარებიც ქართული აქვთ, მაგრამ ქართველები არიან კი? ასეთი ქართველები ხომ ორჯონიკიძე და ჯუღაშვილიც იყვნენ. როგორ შეიძლება ქართველი უწოდო ადამიანს, რომელიც უცხო იმპერიის გულისთვის მშობლიურ დედაქალაქს დასანგრევად გაიმეტებს და თანამემამულეებს ამოსახოცად გაწირავს?! ან სადაური წესია კანონიერ ხელისუფლებასთან ცეცხლითა და მახვილით ბრძოლა? რომელ ქვეყანაში მოუძებნიათ რაიმე გამართლება ამგვარი ქმედებისათვის? რამდენი მთავრობა არ მოგვეწონება, იმდენი ომი და სისხლის ღვრა უნდა ავტეხოთ და ხალხს თავზე დავანგრიოთ სახლკარი? სად წაიკითხეთ ან მოისმინეთ მსგავსი რამ, პატივცემულო „დემოკრატებო“? ესაა დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვა? ამ სიმართლით იაროს ყოველმა ღვთის გარეგანმა! ხომ ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდიას გივი გუმბარიძისა და მისი მთავრობისათვის არც ზარბაზანი უსვრია და არც ტანკები დაუყენებია უზენაესი საბჭოს შენობასთან. მან არჩევნების გზით მოიგო ბრძოლა, მრავალპარტიული, დემოკრატიული, ცივილიზებული არჩევნების გზით. გაიმარჯვა ისე, რომ ერთი ტყვიაც არ გაუსროლია. ამაზე რაღას იტყვით? იარაღს მიმართავს ის, ვისაც სხვა არაფერი შეუძლია.

ასე რომ, პატივცემულო მკითხველნო, ჩვენი დღევანდელი ომი სამოქალაქო ომი არ არის; ეს გახლავთ სამამულო ომი საქართველოს მტრების წინააღმდეგ. ეს არ არის ბაზალეთი. ეს გახლავთ წიწამურის ტრაგედიის განმეორების მცდელობა. რა ძალამაც 1907 წელს ილიას ესროლა ტყვია, იგივე ძალა ლამობს დღეს ზვიად გამსახურდიას განადგურებას! ეს კარგად უნდა გაიცნობიეროს ყოველმა ქართველმა, ვისაც ჯერ სისხლი არ გაშრობია და ყოველივე ეროვნული არ დაუკარგავს. ჩვენ არასგზით არ უნდა დავუშვათ ახალი წიწამური, იგი ახალ დიდგორად უნდა ვუქციოთ პირსისხლიან რევანშისტებს! მწამს, ამაში ერთსულოვანია მთელი ჭეშმარიტი ქართველი ერი.

დურმან ნუშიშვილი.

31 დეკემბერი, 1991 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიხილავთ კანონპროექტს

უპირველესი საზრუნავი

მიწის საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობაა. დაობენ მეცნიერები, სპეციალისტები, გლეხები, მაგრამ ერთიანი ნორმა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. კანონპროექტი მეტად კვალიფიციურად არის შედგენილი, მაგრამ მას ჯერ კიდევ უფრო სრულყოფა სჭირდება. ერთი რამ უდაოა, რომ აგრარული რეფორმის სწორ გადაწყვეტაზე ბევრია დამოკიდებული. ქართული ეროვნული ინტერესები მოითხოვს მიწისადმი ხერიოზულ მიდგომას. უნდა ვაღიაროთ, რომ მიწის რეფორმის დახვეწას დიდ დრო სჭირდება. ამასობაში ხელიდან არ უნდა გავუშვათ მიმდინარე სამუშაოების ჩატარების კამპანია. დროულად უნდა ჩატარდეს პირველი ხვნა, ჩაის ქვეშ საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? უნდა ითქვას, რომ არასახარბიელო და რატომ? ადგილობრივ ავტოპარკებში არ არის ტექნიკის შესაკეთებელი მარაგნაწილები, ტექნიკისათვის საწვავი, რის გამო ფერხდება საზამთრო სამუშაოები.

ცალმხრივ მოქმედებას აზრი არა აქვს. კომპლექსურად უნდა ამოქმედდეს ყველა რეზერვი, დღეს, ლოზუნგებითა და მოწოდებებით საქმე არ გაკეთდება, არც ისაა დასამალი, რომ თანდათან ნელდება შრომისადმი დამოკიდებულება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოიჯარეებს.

საქართველოს მომავლის განსაზღვრა მიწისადმი სწორ დამოკიდებულებაში შეგვეძლება. ერთად-ერთი გზა მიწის პრივატიზაციაა, რომლის განხორციელებაში პრივილეგიები უნდა მივაკუთვნოთ იმ გლეხებს, რომლებიც გაპიროვნებულ ნაკვეთებზე მოიყვანენ მეტ მოსავალს.

ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ბევრმა მეიჯარემ გაართვა თავი ამ ფორმით შრომას, მათ შორის არიან: ახმედ შელია, შალვა ჩალიგავა, ნუგზარ ნინუა, ანზორ სიჭინავა და სხვები.

საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოების დროულად შესრულება სოფლის მშრომელთა უპირველესი საზრუნავია.

გ. ალანია,
ჯიხაშკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მკითხველი გვწერს

მ ჯ ე რ ა

ქალაქად, №2 აფთიაქის გახსნამ, მართალი გითხრათ, ეჭვი გამოიწვია მოსახლეობაში. ვერ წარმოედგინათ გის შეეძლო გატოლებოდა დიდებულ ფარმაცევტს ხარიტონ ჯანაშიას. ვინ უპატრონებდა მასავით ავადმყოფებს და ვინ ანუგეშებდა წამლის მაძიებელ ჭირისუფლებს.

გაიხსნა. დაკომპლექტდა 1955 წელს. აფთიაქის გამგედ დაინიშნა სრულიად ახალგაზრდა ფარმაცევტი ვახტანგ ნანავა, შვილი სახელოვანი პედაგოგისა ლიდა ნანავასი, რომელიც მოღვაწეობდა პირველ სკოლაში. ეს ტკბილმოუბარი ქალბატონი ორი ვაჟის დედა მხოლოდ სიკეთეს უნერგავდა შვილებს. ვახტანგმა ფარმაცევტობა ირჩია, ოთარი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი—აგრონომი გახდა.

ორივე ვაჟმა პირნათლად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი, მაგრამ მე ამ წერილში, მხოლოდ ბატონ ვახტანგზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. ახალგაზრდობაში დაეკარგა მეუღლე ექიმი ნელი ქირია... ქალ-ვაჟის აღზრდა მამამ ითავა. კახა ინჟინერ-ეკონომისტია, რუსიკო სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი.

გაჰაღარავდა ვახტანგი. მაგრამ ისევ ისეთივე სიყვარულის სხივებით გამთბარი თვალებით ეგებება წამლისთვის მოსულთ, როგორც ახალგაზრდობაში. გულისხმიერია, კაცთმოყვარე, უღალატო. აფთიაქში მასთან ერთად აღზარდნეს საუკეთესო სპეციალისტები, რომელთა გამორჩევა გამიჭირდება, რაკი თუ ყველა მათგანი ღირსია კეთილი სამადლობელი სიტყვისა.

დანიშნულ დროს იღება და იხურება ნომერ მეორე აფთიაქი, სადაც აკურატულობა და მომსახურეთა დიდი ყურადღება შეიმჩნევა. აქვთ თუ არა აქვთ წამალი თავაზიანად პასუხობენ, აკერებენ, არწმუნებენ შეწუხებულ აღამიანებს.

მჯერა, ჩემს ამ პატარა ნათქვამს ბევრი თანამგრძნობი ეყოლება. ალბათ, ყველა ის, ვინც იცნობს ვახტანგ ნანავას, მის შესანიშნავ კოლექტივს.

გ. ასათიანი.

იაკობ გოგებაშვილი

დაურღვევი კავშირი ქართულ ტერიტორიასა და ქართველ ერს შორის

...დედამიწაზე ძალიან ძნელად მოიპოვება ამისთანა კუთხე, სადაც მიწა-წყალი და მისი მცხოვრები ისე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებულნი, როგორც ეს არის ჩვენს სამშობლო ქვეყანაში. ქართველი სავსებით იფურჩქნება სულიერად და ხორციელად მხოლოდ საქართველოში. მხოლოდ აქ მოძრაობს მისი სისხლი ჯეროვანი სისწრაფით, მხოლოდ აქ სარგებლობს იგი სრული სისაღით, მხოლოდ აქ მრავლდება იგი დაუბრკოლებლივ, მხოლოდ აქ ბედნიერდება იგი საღი ჩამომავლობით, მხოლოდ აქ ეღირსება ხოლმე სრულს სიტკბოებას, მხოლოდ აქ შეჰხარის იგი ხიცოცხლეს სრული სიხარულით, იჩენს სრულ ხალისს სიცოცხლისას, უცხოეთში კი იგი ხაოცარი სისწრაფით იჩაგვრება სულითაც და ხორცითაც, ჭკნება, უკან-უკან მიდის, გადაშენების და აღმოფხვრის გზაზე ხდება.

მრავალი ფაქტი ცხადჰყოფს ამ საარაკო კავშირს.

ჩვენი სამეფო სახლი—ბაგრატოვანთ გვარეულობა—ხაოცარი სისწრაფით მრავლდებოდა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი წევრნი ამ გვარეულობისანი უდროოდ ეხალმებოდნენ წუთისოფელს დაუხრულებელი ომიანობის გამო. წარსულს საუკუნის დამდეგში ამ სახლობის წევრთა რიცხვი სამოცს აღემატებოდა. პოლიტიკური ჩარხის უკუღმა დატრიალებამ ეს მრავალრიცხოვანი გვარეულობა გადაასახლა მთლად რუსეთში და რა მოხდა? თითქმის მთელი გვარეულობა ერთი საუკუნის განმავლობაში გაქრა.

მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს მრავალი ქართველი იძულებული იყო გასცლოდა დაუძინებელი მტრების ნავარდობას საქართველოში, მოშორებოდა სამშობლო ქვეყანას და გადასახლებულიყო რუსეთში. ეს გადასახლებულნი გვარეულობანი თავიანთს შფოთიან სამშობლოში დიდად მრავლდებოდნენ, წინაალმდეგ აუტანელის პოლიტიკურის მდგომარეობისა, და სრული იმედი ჰქონდათ, რომ მეუდრო რუსეთში მათზე ცხადდებოდა კურთხევა ღვთისა აბრამზე, და ისინი გამრავლდებოდნენ, როგორც ქვიშანი ზღვისანი, მაგრამ საშინლად მოსტეუვდნენ. ეხლა რუსეთში მათი ჩამომავალნი სანთლით უნდა ეძებო, რომ თითოოროლა აქა-იქა აღმოაჩინო.

თვით ჩრდილო კავკასიაში გადასახლებულნი ქართველები თით ქმის ყველა ადგილებში იჩაგრებოდნენ და იჩაგრებიან ბუნებისაგან, ჰკარგავდნენ და ჰკარგავენ სიმართლესა, ვერ მრავლდებიან, ვერ იძენენ ქონებასა, იქაურის მცხოვრებლებზე ბევრად უარესად ცხოვრობენ და უფრო უდროოდ ესალმებიან წუთისოფელსა...

თუ ყურადღებას ვათხოვებთ იმ ქართველ ჩინოვნიკების მდგომარეობას, რომელთათვის ბედს სამსახური რუსეთში ურგუნებია, აქაც აღმოჩნდება, რომ უცხო ბუნება ამათაც ხეირს არ აყრის არც სულიერად და არც ხორციელად, ჩამომავლობაც ეჩაგრებათ და გადაშენების გზაზე ხდებიან. აქ მხნე ქართველი, იქ, რუსეთში სიზარმაცეს ეჩვევა, აქ ჭკვიანი იქ გაფანტულს არსებას წარმოადგენს; აქ ფხიზელი იქ ლოთობაში იკლავს თავსა; აქ რიგიანი, იქ ბანქოს თამაშში ათენებს ღამეებს; აქ საღი შვილების პატრონი, იქ აბრავლებს ჭიანს ჩამომავლობასა. გამოიკითხეთ დაწვრილებით რუსეთში მყოფი ქართველი მოხელეების ამბავი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ გადაჭარბებით არაფერს ვამბობთ.

წარსულს წელში სატახტო რუსულს გაზეთებში ერთი ყოვლად ხაოცარი ამბავი იქმნა გამოქვეყნებული. ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც რუსეთში იქნენ გადაყვანილნი, თურმე მრავალი ტილი დაეხვიათ სრულიად უმიზეზოდ: ექიმები გაოცებიდგან იყვნენ გამოსულნი და ვერაფრით აეხსნათ ეს უცნაური მოვლენა. ქართველებს ისევე სუფთად ინახავდნენ და ისევე კარგად აკმევდნენ, როგორც რუსს სალდათებსა. მაგრამ უკანასკნელებზე არც ერთი მკბენარი არ მოიძებნებოდა, პირველებს კი ტილები სჭამდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ბოლოს ექიმები იმ აზრს დაადგნენ, რომ სამშობლოს მოშორებას და უცხო ქვეყანაში ყოფნას ქართველ სალდათების ნერვები დაუსუსტებია, მოუშლია, დაუსნეულებია, და ამის გამო დაჰხვევიათ მათ მკბენარიო. აი, ფრიად მღაღადებელი ფაქტი.

ჩვენ შეგვეძლო ამისთანა ფაქტებით ვეებერთელა წერილი გაგვევსო, მაგრამ ნათქვამიც საკმარისად მიგვაჩნია იმ აზრის გასამართლებლად, რომ ქართველებსა და საქართველოს შორის მეტად ინტენსიური კავშირი არსებობს და ამ კავშირის გაწყვეტა მეტად მავნებელია ქართველობისათვის.

მთავარი მიზეზი ამ ინტენსიურის კავშირისა უნდა იყოს ისა, რომ ქართველები უხსოვარის დროიდან დასახლებულან საქართველოში და ისე შესთვისებიან მას, ისე შეხასხლხორცებიან, რომ მის გარეშე არ ძალუძთ ადამიანური არსებობა და აღორძინება. როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ჩვენი დროის განთქმული ისტორიკოსების აზრით უძველესი დროის ქეტეველნი (хетты), რომელნიც ეგვიპტის ფარაონებს მსოფლიო ბატონობაზე ეცილებოდნენ და ხანდახან კიდეცა სძლევდნენ, და ურარტელნი, რომელთაც დასტოვეს სახელოვანი ვანის ლურსმანებრივი წარწერები და პირველად აფრიალეს კაცობრიობის ისტორიაში დროშა კაცთ მოყვარეობისა მტერთა შესახებ, იყვნენ ძველნი ქართველნი, წინაპარნი იმერთა და ამერთა.

აი, სწორედ ამ მეტად ხანგრძლივი, ინტენსიური კავშირით აიხსნება ის მოვლენა, რომ ქართველებს ძალიან ეძნელებათ ცხოვრება და სამსახური რუსეთში, რის გამო პატარა თანამდებობა ურჩევნიათ საქართველოში დიდს თანამდებობას რუსეთში. ცილისმწამებლები კი მზად არიან დაინახონ ამ ფაქტში ვიწრო ნაციონალიზმი.

რას გვასწავლებს და რა სახელმძღვანელო აზრს გვაძლევს ნათქვამი? იმას, რომ ქართველობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რათა სავსებით შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი და არამც თუ შეინარჩუნოს, დაიბრუნოს ის ნაწილებიც ჩვენი ქვეყნისა, რომელნიც მათ ხელიდგან გამოაცალა დროთა უკუღმართმა ტრიალმა. დასავლეთის უმამულო გლეხობა და აზნაურობა ჩრდილო კავკასიაში კი არ უნდა გადასახლდნენ, გზა უნდა გაიკვლიონ შავი ზღვის ნაპირებისაკენ, ბათუმისა, ახალციხისა, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებისაკენ. აქ ყველგან სჭქართველოა და ყოველი ქართველი ისევე კარგად იგრძნობს თავსა, როგორც საკუთარს სამშობლოში. ან გადასახლებას უმამულო ქართველებისას თავისი კუთხიდგან სხვა ქართულს კუთხეში ერთი უდიდესი სიკეთეც თან სდევს: სხვადასხვა კუთხის ქართველების დამოყვრება მეტად ეხმარება ჩამომავლობის გაუკეთესობასა, რაც უკვე აღვნიშნეთ ერთს ჩვენს წინანდელს წერილში...

...ამ სახით, ჩვენის აზრის გაწბორციელება არა მარტო შეარჩენს ქართველებს საქართველოს ტერიტორიას, არამედ ძლიერ დაეხმარება ესრედ წოდებულს რასსის გაუმჯობესებასაც, რაშიაც ქართველობა ნაკლებად არა საჭიროებს, ვიდრე სხვა ხალხები.

(1902)

ეკლესია—მონასტრები

(წერილი მესამე)

წინა წერილებში ჩვენ მივუთითებდით, რომ ზუგდიდში არსებულა მაცხოვრის, ღვთისმშობლის, სამების, სულწმინდის, წმინდა გიორგისა და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიები. ამათგან ღვთისმშობლის ეკლესიის შენობის აგების ისტორია გაშუქებული გვქონდა. რაც შეეხება მაცხოვრისკარის ეკლესიას, რომელიც თავის დროზე აღწერილი ჰქონდა პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილს, პროფესორი პარმენ ზაქარაია წერს: „ქალაქ ზუგდიდის განაპირას, ვორკზე აღმართულია ვარაუდით მე-14 საუკუნის მეორე ნახევრის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია“. დანარჩენი ეკლესიების დასრულების დათარიღებისათვის ჯერჯერობით დაზუსტებული მასალები არ გაგვაჩნია. იგი ძიებას მოითხოვს.

პ. ზაქარაიას მიერ დასახელებულ გორაკს ზუგდიდში „მაცხოვრისკარს“ ვეძახით. იგი იმითაცაა საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომ აქედან უნდა იყოს გამომდინარე ჩვენი ქალაქის სახელწოდებაც (ზუგდიდი, ზუგ-დიდი).

მაცხოვრის ეკლესია რეგიონის ერთ-ერთი უველაზე სახელმოხვეჭილი ეკლესია იყო, რაც კარგად ჩანს ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის—ისტორიული მუზეუმის საარქივო მასალებიდან. ამ ეკლესიაში ხდებოდა ზუგდიდში მცხოვრებთა, ამ ეკლესიის სამრევლოში შემავალ იმ პირთა რეგისტრაცია, რომლებიც აღსარებას აღავლენდნენ და ზიარებას იღებდნენ. აქვე ტარდებოდა უველაზე ხშირად საქორწინო დოკუმენტაციების შედგენა და თვით ქორწინების რიტუალები და სხვა.

1855 წლიდან ამ ეკლესიაში გასწნილია ყოველწლიური ჟურნალები, საიდანაც ჩანს, ვინ მიიღო ზიარება და თქვა აღსარება. ისინიც აღრიცხულია, რამდენმა პირმა არ თქვა აღსარება და არ ეზიარა სხვადასხვა მიზეზით. ჟურნალი შეიცავდა სხვა დემოგრაფიულ ცნობებსაც (წლოვანება, სქესი, საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნოდა და სხვა).

სარეგისტრაციო ჟურნალში იწერებოდა მაცხოვრისკარის ეკლესიის სამრევლოში შემავალი კომლების რაოდენობა სულადობის ჩვენებით.

ეს მასალები განსაკუთრებით საინტერესოა იმ მკვლევარისათვის, რომლებიც ზუგდიდის ისტორიას სწავლობენ.

უველა ჩვენთაგანს აინტერესებს რაიმე იცოდეს თავის უველაზე უშორეს წინაპრებზე. ეკლესიების აღსარება-ზიარების დაბადების და სხვა სარეგისტრაციო ჟურნალებით არა მარტო უშორეს წინაპარზე მოიპოვება ცნობა, არამედ მის სამრევლოში შემავალი ტერიტორიის მცხოვრებთა ყოფის მრავალ კითხვაზეც მივიღებთ პასუხს.

ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესია გურია-სამეგრელოს ეპარქიაში შედიოდა. აღსარება-ზიარების სარეგისტრაციო ჟურნალნ ეკლესიაში მომსახურე მღვდლები აწერდნენ ხელს. ჟურნალის ბოლოს ჯამი კეთდებოდა კომლთა და სულთა რაოდენობაზე.

ასე მაგალითად: 1855 წელს რეგისტრაციაში გატარებულია 555 კომლი 2233 სულით. სარეგისტრაციო ჟურნალს ხელს აწერდნენ და მისი მონაცემების სიზუსტეს ადასტურებდნენ მღვდლები— ივანე ჯიქია, პავლე ჯიქია, გიორგი ჯგუშია, მათე ჯგუშია და მთელი რეგიონის ბლაღოჩინი მღვდელი მიხეილ მეუნარგია.

1860 წლის ამგვარ ჟურნალს ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიაში ხელს აწერენ ზემოდასახელებული პირების გარდა ნიკოლოზ ჯიქია და დავით კეიდია. კომლთა რაოდენობა ამ დროისათვის შეადგენს 556-ს 3035 სულით.

დასახელებული პირები შემდგომ წლებშიც მოღვაწეობენ მაცხოვრის კარის ეკლესიაში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ხანში შესულა, ზოგიც გარდაიცვალა. ამიტომ ისინი მათმა შვილებმა შესცვალეს, ზოგიც ახალი დაემატა.

80-იან წლებში ახლადშეხვედრილებულთაგან ვხედავთ ვასილ გიორგის ძე ჯგუშიას, გაბრიელ პავლეს ძე ჯიქიას, პეტრე სვანიძეს, ზოსიმე ჯგუშიას.

900-იან წლებში სარეგისტრაციო ჟურნალს ხელს აწერენ წინა წლების მღვდელმსახურების გარდა ახლები: სამსონ ეგნატეს ძე თათარიშვილი, მიხეილ ჯიქია, ვასილი გრიგოლია, მიხეილ მათეს ძე ჯგუშია, ივანე ბობოხიძე და სხვები. დასახელებული პირებიდან ზოგიერთი ჯერ დიაკვანი, მედავითნე იყო და შემდეგ მღვდელი.

მრავალი წლის განმავლობაში მაცხოვრის ეკლესიის აღსარება-ზიარების სარეგისტრაციო ჟურნალს ხელს აწერს რეგიონის ბლაღოჩინი ცნობილი საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას მამა მიხეილ მეუნარგია.

მამანტი პაჭკორია,

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის—ისტორიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი.

საკავშირო ტელევიზიის იაფფასიანი ოპუსები

უველანი ვხედავთ, რა მუხანათია იმპერია და მისი მოსყიდული ლაქია—საკავშირო ტელევიზია. რომელსაც ცენზორად მოევლინა შევარდნაძე. წუხელ ორი ინფორმაცია გადმოსცეს. ერთი იუწყებოდა, რომ თითქოს საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლები საფრანგეთის ქთავრობასთან მართავენ მოლაპარაკებას ზვიად გამსახურდიასთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის შესახებ. ესეც მორიგი ფანდია. ამით სურთ ტოტალური აპათია და უიმედობა დათესონ საქართველოში. აზვირთებულ ქართველ ხალხს არწმუნებენ, აი, ჩვენ ვზრუნავთ პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე, მას ემიგრაციაში წასვლის შესაძლებლობას ვაძლევთო, ვერაგული გათვლაა, მეგობრებო! ამით სურთ ეროვნული დაუმორჩილებლობის პროცესს მოწყვიტონ პრეზიდენტი და და თანდათან ჩააცხრონ სახალხო მღელვარება.

* * *

ისევ საკავშირო ტელევიზიას დააკვირდი, მკითხველო! საღამოისე არ გავა, რომ შევარდნაძე არ გვანახონ. ხან კასინჯერი იხუტებს გულში, და ხან კიდევ ბეიკერი. როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, იგი საკუთარ ბინაზე იღებს მაღალჩინოსან უცხოელ პოლიტიკოსებს. რატომ კეთდება ეს? ამას აქვს თავისი მიზანი: ქართველი ხალხი უნდათ დააშინონ და უთხრან: ჭკვიანად იყავით, თორემ ხომ ხედავთ ეს თქვენებური კაცი დაუმარცხებელი, ყოვლისშემძლე პოლიტიკოსია და მხსნელად თუკი შეიძლება მოგეგონოთ ვინმე, ისევ და ისევ შევარდნაძეო.

* * *

ეს ერთ-ერთ ეროვნულ ლიდერ ზვიად გამსახურდიასთან ერთად ეროვნული ძალების ერთ-ერთ ლიდერ ალფასიან